№ 1 2012

მასწავლებელი

საქართველოს
განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო

მასწავლებელთა
პროფესიული
განვითარების
ეროვნული ცენტრი

ISSN 1987-6149

რედაქტორისგან

მალე გაზაფხული მოვა. გაზაფხულს ადამიანი ყოველთვის რაღაც ახლის დაწყების მოლოდინით ხვდება. მეც მაქვს ახალი ამბავი მასწავლებლებისთვის და თითოეული ადამიანისთვის, ვისაც განათლების სფეროში მიმდინარე ამბები აინტერესებს.

2012 წლის 1 მარტიდან, პირველად ქართულ ინტერნეტ-სივრცეში, გაზეთი გამოვა მასწავლებლებისთვის. მისი მისამართია: mastsavlebeli.ge.

ეს იქნება ახალი საინფორმაციო, ყოველდღიურად განახლებადი მეთოდური და საგანმანათლებლო რესურსი მასწავლებლებისთვის.

ინტერნეტგაზეთი mastsavlebeli.ge მასწავლებლის პროფესიული ზრდის ხელშეწყობის, ინფორმირების, გამოცდილების გაზიარებისა და მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციის მიზნით შეიქმნა.

ინტერნეტგაზეთი mastsavlebeli.ge თავისი რესურსებით და ექსპერტთა დახმარებით შეეცდება უფრო თანამედროვე და საინტერესო გახადოს სასკოლო და საგაკვეთილო პროცესი, რისთვისაც თავის მკითხველს და მომხმარებელს ინტენსიურად მიაწვდის საჭირო მასალებსა და საგაკვეთილო გეგმებს. მოიძიებს და გაუზიარებს საერთაშორისო გამოცდილებას წარმატებული ქვეყნების საგანმანათლებლო მიღწევებისა და საინტერესო ინოვაციების შესახებ.

ინტერნეტგაზეთ mastsavlebeli.ge-ს მეშვეობით გავრცელდება ინფორმაცია მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდების შესახებ, ასევე გამოცდებისათვის მოსამზადებელი სტრატეგიები, მეთოდური მასალები, საგაკვეთილო გეგმების ნიმუშები და სხვა დამხმარე რესურსები.

მრავალფეროვნებისთვის ითარგმნება უცხოური მასალები, ინტერვიუები უცხოელ ექსპერტებთან. ჟურნალ „მასწავლებელთან“ ერთად გაზეთი იზრუნებს, რომ საზოგადოებას უკეთესი, თანამედროვე გამოწვევების შესაბამისი სკოლა და მასწავლებელი ჰყავდეს.

ინტერნეტგაზეთი mastsavlebeli.ge, ისევე როგორც ჟურნალი „მასწავლებელი“, ითანამშრომლებს პრაქტიკოს მასწავლებლებთან და ხელს შეუწყობს ერთმანეთის გამოცდილების გაზიარებას.

ნატო ინგოროყვა
მთავარი რედაქტორი

მასწავლებელი

N1 (19), 2012

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რიგდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის.

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 1987-6149

UDC 371.1 / მ-374

რედკოლეგია: გია მამულაშვილი, ნინო რევიშვილი, თეა კვინტრაძე, ნათია ნაცვლიშვილი, ეკა ჯელაძე | **მთავარი რედაქტორი:** ნატო ინგოროყვა | **რედაქტორი:** ირაკლი კაკაბაძე | **სტილისტი:** ირმა ტაველიძე | **დიზაინი:** ბესიკ დანელია | **ფოტო:** გელა ბედიანაშვილი | **მხატვარი:** მამუკა ტყეშელაშვილი | **კორექტორი:** მაია მენაბდე.

ნომერზე მუშაობდნენ: ბუბა ოჩიაური, ხათუნა გოგალაძე, ირინა გოგონაია, ნათია ნაცლიშვილი, მაია ფირჩხაძე, ელიზბარ ელიზბარაშვილი, იური ბაღათურია, რუსუდან თაყაიშვილი, ნანა დალაქიშვილი, ნინო ლაბარტყავა, ქეთევან ჯაყელი, დავით თინიკაძე, სოფიკო ლობჟანიძე, ნინო გორდეზიანი, ირმა კახურაშვილი.

ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი: FuturaBook Geo. ავტორი: კობა კურტანიძე. ყველა უფლება ეკუთვნის ავტორს.

საკონტაქტო ინფორმაცია: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. მისამართი: თბილისი, გმირ კურსანტთა ქ. 1, ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

www.tpdc.ge

40

რესურსი

ბუბა ოჩიაური

27 | **მასწავლებლის გზამკვლევი სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში**

სტატიაში მიმოხილულია სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების გზამკვლევი. გზამკვლევი დაწყებითი კლასების სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლებისთვისაა განკუთვნილი და საგნობრივი პროგრამის დამხმარე რესურსს წარმოადგენს.

ხათუნა გოგალაძე

40 | **ბიოლოგიის საგაკვეთილო პროცესის უკეთ წარმართვისათვის**

სწავლების ყველა ინოვაციური მეთოდი დაფუძნებულია იმაზე, რომ შეიქმნას საინტერესო და მნიშვნელოვანი რესურსი საგაკვეთილო პროცესში ექსპერიმენტული ნაწილის უკეთ ათვისებისა და განხორციელებისათვის.

ირინა გოგონაია, ნესტან ბაგაური

52 | **ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი – ეფექტური სასწავლო-საგანმანათლებლო რესურსი სკოლებისათვის**

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს შეუძლია მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო-კულტურული როლის შესრულება, როგორც ინსტიტუციას, რომელიც ერთდროულად წარმოადგენს უძველესი ხელნაწერი წიგნებისა და ისტორიული დოკუმენტების ყველაზე მნიშვნელოვან საცავს საქართველოში, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებას, მუზეუმსა და ბიბლიოთეკას.

ნათია ნაცვლიშვილი

55 | **კითხვის ეფექტური მეთოდები**

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა მოამზადა „კითხვის ეფექტური მეთოდები 2“. წარმოდგენილია 5 მეთოდი, რომლებიც დაეხმარება მასწავლებელს, შემოქმედებითი მიდგომებით დაგეგმოს და წარმართოს საგაკვეთილო პროცესი. „კითხვის ეფექტური მეთოდები 2“ წინა ფილმის იდეური გაგრძელებაა.

ექსპერტი

მაია ფირჩხაძე

5 | **სწავლება კოგნიტური სქემებით**

პედაგოგიკის ერთ-ერთ ურთულეს პრობლემად რჩება კავშირი ადამიანის სწავლებასა და განვითარებას შორის. ეს საკითხი აქტუალურია რეფორმის პერიოდშიც, როდესაც იცვლება სისტემური მიდგომა სწავლების მთელი რიგი საკითხებისადმი.

ელიზბარ ელიზბარაშვილი

9 | **რატომ უნდა ვისწავლოთ ქიმია**

როგორ ვასწავლოთ ქიმია? როგორ დავაინტერესოთ მსმენელი, რომ მან შემდგომში ქიმიის ცოდნით გაიმარტივოს ცხოვრება? ამ და სხვა მნიშვნელოვან კითხვებზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ქიმიის კონსულტანტი გიპასუხებთ.

იური ბაღათურია

13 | **სასერტიფიკატო გამოცდებისათვის მომზადება ფიზიკაში**

სტატიაში მოყვანილი პრაქტიკული ხასიათის მითითებები და რეკომენდაციები შემუშავებულია მასწავლებელთა სახლში ჩატარებული ტრენინგების საფუძველზე. ისინი მცირეოდენ დახმარებას მაინც გაუწევენ ფიზიკის მასწავლებლებს გამოცდებისათვის მზადებაში.

რუსუდან თაყაიშვილი

31 | **მუსიკის სწავლება სკოლაში**

მიმდინარე ზოგადსაგანმანათლებლო რეფორმის ფარგლებში ერთ-ერთი ყველაზე ძირეული ცვლილება მუსიკის სწავლებას შეეხო. სწორედ ეს ცვლილება იყო იმ ვნებათაღელვის მიზეზი, რომელიც ამ საკითხის ირგვლივ წარმოიშვა. დღეს, რეფორმის დაწყებიდან ექვსი-შვიდი წლის შემდეგ, როდესაც ვნებები გარკვეულწილად დაცხრა, უკვე დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ დრომ აჩვენა ამ სიახლის წარმატება.

ნანა დალაქიშვილი

34 | **მასწავლებლის გავლენა მოსწავლეთა თვითშეფასებაზე**

კვალიფიციური მასწავლებელი, როგორც მოსწავლის ინტერესების დამცველი, ზრუნავს, რომ თითოეულმა მოსწავლემ თავისი წილი ყურადღება მიიღოს, მიუხედავად შეზღუდული უნარებისა, სოციალური, კულტურული, ენობრივი, ეთნიკური, რელიგიური განსხვავებებისა.

შინაარსი



49

მრგვალი მაგიდა

ირმა კახურაშვილი

16 | **რამდენს იწონის საშინაო დავალება**

რამდენად მზად არის ბავშვი, „ზიდოს“ ის საშინაო დავალება, რომელსაც სკოლაში აძლევენ? ხომ არ უშლის ხელს მასწავლებელი მოსწავლეს თავის სრულფასოვან ადამიანად აღქმაში, როცა ძალიან ბევრ საშინაო დავალებას აძლევს და მოსწავლე მათ შესრულებას ვერ აუდის? ამ თემაზე პედაგოგიურ წრეებში ხშირად საუბრობენ, მაგრამ კითხვებზე ზუსტი პასუხი ჯერ არავის გაუცია.

რჩევა

ნინო ლაბარტყავა

20 | **როგორ შევადგინოთ პედაგოგიური ტესტები**

შეფასება სწავლების პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია. სწავლების პროცესში მასწავლებლებს შეფასების სხვადასხვა მეთოდის გამოყენება უხდებათ, მათ შორის ტესტის, რომლის შემუშავებას, გამოყენებას და შედეგების სწორ ინტერპრეტაციას გარკვეული გამოცდილება სჭირდება. სტატიაში გაეცნობით პედაგოგიური ტესტის შედგენისთვის საჭირო რეკომენდაციებს.

ინტერვიუ

ქეთევან ჯაყელი

43 | **სპეციალური განათლება**

თუ მთავრობა გვთავაზობს სკოლას, სადაც ხდება ამ უნარის განვითარება და სწავლება, ეს ნიშნავს, რომ ქვეყანა პატივს სცემს ამ ხალხის კულტურას და ხელს უწყობს მათი ფასეულობების შენარჩუნებას.

გამოცდილება

დავით თინიკაშვილი

46 | **ფინური განათლების წარმატების საიდუმლო**

როგორ მოახერხა ფინეთმა, მოსახლეობის თვალში მასწავლებლის როლი იმ დონემდე აემაღლებინა, რომ ის არა მხოლოდ საპატიო (honorable), არამედ სათაყვანებელ (revered) პროფესიადაც ექცია, მაშინ როცა აშშ-ში მასწავლებლები ხშირად უსამართლო კრიტიკას იმსახურებენ?

მოსაზრება

სოფიკო ლობჟანიძე

37 | **როლური თამაში – თანამშრომლობითი სწავლების ერთ-ერთი მეთოდი**

სააზროვნო უნარ-ჩვევების განვითარება ეროვნული სასწავლო გეგმის უმნიშვნელოვანესი მიზანია. აზროვნების ამოქმედების დროს მოსწავლე ნასწავლ მასალას კი არ იზეპირებს, არამედ იაზრებს, რაც ხდის მას უფრო გამჭრიახს და მისი აქტიურობა სასწავლო პროცესში იზრდება.

მოსაზრება

ნინო გორდეზიანი

24 | **მოსწავლე და მოტივაცია**

მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლების საუკეთესო საშუალება სწავლების ეფექტური სტრატეგიებია. სტატიაში განხილულია სწავლების კონსტრუქტივისტული მეთოდოლოგიის ძირითადი პრინციპები და მისი შემადგენელი ნაწილები, გაეცნობით კონსტრუქტივიზმის ძირითად პრინციპებს, მათზე დაფუძნებულ სწავლებისა და სწავლის ეფექტურ სტრატეგიებს და მათი გამოყენების გზებს სასწავლო პროცესში.

მასწავლებელი

ეკა ხუციშვილი, თამილა ჩუბინიძე

49 | **მოსწავლეთა შემოქმედებითი აზროვნების განვითარებისთვის**

როგორია შემოქმედებითობის განმარტება? რაში გამოიხატება შემოქმედებითი აზროვნების ორიგინალურობა და მრავალმხრივობა? რა უშლის ხელს შემოქმედებითობის განვითარებას და როგორია შემოქმედებითობის მოტივაცია?



ჟურნალ „მასწავლებლის“ 2012 წლის პირველ ნომერში შევეცდები, იმ ძირითად მიმართულებებსა და გამოწვევებზე ვისაუბრო, რომლებიც მიმდინარე წელს უნდა განხორციელდეს საქართველოს სახელმწიფოსა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ძალისხმევით.

წელს ჩვენ გვექნება ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა VII-XII კლასებისათვის, ასევე VII-XII კლასებში – გრიფირების ახალი გამკაცრებული წესის მიხედვით შეცვლილი სახელმძღვანელოები, რომელთა საცალო ფასი არ აღემატება 10 ლარს.

ისევ მიიღებს უფასო სახელმძღვანელოებს საჩუქრად სახელმწიფოსგან სოციალურად დაუცველი ყველა მოსწავლე I-დან XII კლასის ჩათვლით. საატესტატო გამოცდები სავალდებულო იქნება რვა საგანში. კვლავ გაგრძელდება სკოლების აღჭურვა ახალი კომპიუტერებითა და school box-ებით. საქართველოს სკოლებში გაიხსენება 100 ახალი „მომავლის კლასი“.

ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში კვლავაც გაგრძელდება მასწავლებელთა გადამზადება, სკოლები „ჭკვიანი დაფებით“ (smart board) აღიჭურვება.

ყველა საჯარო სკოლის 60 000-მდე პირველკლასელს და მათ პედაგოგებს სახელმწიფოსგან საჩუქრად გადაეცემათ საქართველოში წარმოებული კომპიუტერები.

პროგრამა „აინშტაინის“ ფარგლებში სკოლები აღიჭურვება სასკოლო სამეცნიერო ლაბორატორიებით.

კვლავ პრიორიტეტულია და ინტენსიურად გაგრძელდება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მასწავლებლების გადამზადება სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის. ახალი „მასწავლებლის სახლები“ გაიხსნება ქუთაისში, ბათუმსა და ზუგდიდში. მიმდინარე წელს მოხდება 350 საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია, გაიხსნება 10 ახალი სკოლა.

მასწავლებლის ბიბლიოთეკა გამდიდრდება ახალი შემეცნებითი ელექტრონული თამაშებით ყველა საგანში და გვექნება ძალიან საინტერესო ელექტრონული ბაზები (ადამიანური რესურსების მართვის, სკოლების საინფორმაციო, მოსწავლეთა მართვის საინფორმაციო, მანდატურების საინფორმაციო, სკოლების ინფრასტრუქტურის მართვის, სკოლების ფინანსური მონიტორინგის, გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემები). გვექნება აგრეთვე ელექტრონული წიგნების ბიბლიოთეკა და საგანმანათლებლო დაწესებულებების კატალოგი.

ეს განსახორციელებელი გეგმების სრული ჩამონათვალი არ გახლავთ. ჟურნალის ფორმატში შევეცადე, რამდენიმე ძირითადი მესიჯი გამეჟღერებინა. თუმცა აქვე ვიტყვი, რომ ამ ამოცანების გადაჭრაში მთავარი და უპირველესი რგოლი მაინც მასწავლებელია და ვფიქრობ, ერთად და თანამშრომლობით მეტ კარგ და საინტერესო საქმეს განვახორციელებთ.

» ამ ამოცანების გადაჭრაში მთავარი და უპირველესი რგოლი მაინც მასწავლებელია და ვფიქრობ, ერთად და თანამშრომლობით მეტ კარგ და საინტერესო საქმეს განვახორციელებთ. «

ბერნარდ შოუ ბუკინისტურ მაღაზიაში თავის წიგნს წააწყდა, რომელიც მან ოდესღაც საჩუქრად მიართვა ერთ მაღალი წრის მანდილოსანს. სატიტულო გვერდზე შემორჩენილი იყო წარწერა: „მეგობრული სურვილებით“.

შოუმ იყიდა წიგნი, პირველ მიძღვნას ქვეშ მიაწერა: „ახალი სურვილებით“ – და უკანვე გაუგზავნა ადრესატს.